


ტარტაროში

მავნებელთა მეთაური — ჰუანკარე და ბრიანი



ზრანზი მუშა: — მალე თქვენც დაგსვამთ საბრა ლმდებლო სკამზე და თქვენზედაც გამოვიტანთ ღირსეულ განაჩენს!



კაცი პროფესორი და უაღრესად განსწავლული. თავში აქვს შვილი აკადემია და ცხრამეტი ფაკულტეტი.

მოდი და ასეთ კაცს შეეკამათე, როცა იგი ქარხნის მოწყობაზე დაგიწყებს ლაპარაკს!

— „ჩვენი ხელისუფლება“, „ჩვენი მუშათა კლასი“, „ჩვენი პროლეტარიატი“, — ასე ლაპარაკობს იგი და ინდუსტრიალიზაციის მზეს ფიცულობს სოცმშენებლობის გაგონებაზე მეტის-მეტი განცდისაგან თვალბეჭეტი ცრემლები მოსდის.

შენც გრძნობებით ეგებები ასეთი სწავლების მიმართ და ფიქრობ:

— დიდ არს, პროლეტარიატის დიქტატურავ, გავლენა შენი, რომ ეს ყოფილი შავრაზმელი პროფესორი ასე გულმოდგინეთ ემსახურება სოციალიზმს. ასაგებია ქარხანა.

— ამ წარმოებისათვის საუკეთესო ადგილია უნდლას რაიონი, იგი მომავალი სამრეწველო ცენტრია, — დაბეჯითებით ამბობს განსწავლული პროფესორი და მკერდში მჯიღის ირტყამს: — გეფიცებით ჩვენს ბოლშევიკურ ტემპებს, რომ ამაზე უკეთესი ადგილი წარმოუდგენელია!

შენ, ამ დაწესებულების ხელმძღვანელს დაწინაურებულ მუშას, გეუცხოვება რომ უნდლას რაიონში, სადაც ნედლეული მცირეა, გირჩევენ ქარხნის აგებას.

— ოჰ! ვფიცავ ინდუსტრიის გიგანტებს რომ ეს ადგილი საუკეთესოა, — გესმის განსწავლული კაცისაგან. შენდება ახალი ქარხანა. საჭიროა მანქანები, მოწყობილობა.

— ეს ისეთი მანქანებია, რომ მაგისათვის საჭიროა ან ჩემი, ან ჩემი ამხანაგის წასვლა ევროპაში... ჩვენი თვალით თუ არ ვნახეთ, შეიძლება მოგვატყუონ, ხომ იცით, ეგენი ბურჟუაზიაა, ჩვენი პროლეტმშენებლობა ჭირვით ეჯავრებათ...

მიდის დიდებული პროფესორი უცხოეთში. შენ გგონია მანქანებისათვის, თურმე პუანკარესთან პაემანი აქვს დანიშნული:

— გადასდეთ ერთი მილიარდი მანეთი, ეს იკმარება საბჭოთა კავშირის დასამონაგებლად და მერე ყოველწლიურად წაიღეთ მილიარდობით!

ბებერ ქოფაკს პუანკარეს ნერწყვი მოსდის... ეს ხომ მისი დიდი ხნის ოცნებაა და ამ ოცნებას ახლო მომავალში საფლავშიაც ჩაიტანს...

— კი, კი შე შე მკითხე თქვენი პატივისცემა; ეგენერალური შტაბი მზად გეყავს, პოლონეთიც მზათ არის, რუმინეთიც... ინგლისიც ხომ ჩვენია, თქვენ ოლონდ შიგნიდან დაარღვიეთ, ხალხი ააფეთეთ! — ღრინავს ბებერი ქოფაკი.

— მე მზათ მყავს სამოცი ათასი ჯარისკაცი, რუსეთს ზიშტზე ავაგებთ. ბოლშევიკებს მიწას გაუთხრით, — ღრინება მეორე ძალდი, გენერალი ლუკომსკი — თეთრგვარდიელების სიამაყე და იმედი.

ჩვენი განსწავლული პროფესორი გულში იხუტებს ყოფ. რუსეთის მრეწველებს „ტორგპრომის“ წევრებს და დორბლმორეთული ლულულულებს:

— რუსეთი ჩვენი იქნება... მინისტრები ვიქნებით, ძველ რუსეთს აღვადგენთ, ბოლშევიკების სინსილას გავაწყობთ... ქვეყანას შევმუსრავეთ...

უცხოეთიდან ბრუნდება განსწავლული პროფესორი. ჯიბე გატენილი აქვს გენშტაბის და „ტორგპრომის“ თქროთი და ინსტრუქციებით.

„ინტერვენცია, ინტერვენცია, — ჩვენი ხსნა ინტერვენციაშია“, — მოაქვს მას ამბავი

— ძლივს შევიძინე დაზგები—იწმენდს ხელს — ეს ბურჟუაზია პირდაპირ დასაკირავია, ხელს გვიშლის სოცმშენებლობაში...

ბოლოს, კარგა ხნის შემდეგ ირკვევა, რომ დაზგები და მანქანები სრულებით უვარგისია.

— მოგვატყუეს შეჩვენებულებმა კაპიტალისტებმა, — იგინება „საბჭოთა“ პროფესორი, — ცუდი მანქანები გამოუგზავნიათ, ჩვენი მშენებლობის ჩაშლას ცდილობენ — აი მაგალითი...

და მუშტს, „საბჭოთა“ მუშტს იქნევს ევროპისაკენ...

იალლიში მოგივიდათ, ბატონო განსწავლულო პროფესორი.

რას გამოაპარებთ თქვენ პოლიტსამმართველოს! ასი კანი რომ გამოიცვალო, ასი ჭურჭი რომ ჩაიცვა, მაინც გიცნობს, მაინც გიპოვის, ყნოსვით გიგრძნობს, გულის სიღრმეში ჩაგწვდება და ფოტოგრაფიული სისწორით გადაიღებს შენი ინტერვენციული სულის ყოველ კუნჭულს.

ფროთხილად ბატონო პროფესორებო, ხელობით მანებლებო. საშინელია პროლეტარიატის რისხვა. კითხეთ თუ გნებავთ თქვენს წინა მანებლებს.

ტერსიტი.

ზღაპარი საბჭოთა დემონიზმზე




— წავლევავს!.. წავვიღებს!

მ ა ვ ნ ე ბ ლ ე ბ ი

(ტარიკატურები ამოღებულია ბაზ. „კრამლა“-დან)



ქართული
ბიბლიოთეკა



მავნებელთა ბრკეალები და
საბჭოთა „ბრკეალები“

კ ო ვ ზ ი ნ ა ტ ა რ უ ბ ი

მიუვარს ყველი, კიტრი, პური, —
გთხოვთ დამიგდოთ ყველამ ყური,
მოვიარე არე-მარე
და მოვინახე პუანკარე.

ენა ფლიდი და ორპირი,
სისხლით შქონდა სავსე პირი.
ტანზე ეცვა „შავი „კლოკი“
და მივართვი მას ბოლოკი.

— მავნებელთა ძღვენი არის! —
მოვინახე ენა მწარედ,
ქული მაგრა დავიხურე
და მოვკურცხლე უცბად გარედ.

— შეჩერდიო! — მომაძახა,
დააბჩინა ბრაზით ხახა,
(ერთი მაგრა გამეცინა
ამივარდა: ხა, ხა, ხა).

დე დამცინეთ რომ ჩავარდა
რამზინი და პრომპარტია.
მე რა უთხრა თქვენს „გებუეს“,
ეს მას რომ არ აპატია!

ქველი

საბჭოთა კავშირის
ფინანსთა მინისტრის
კანცლარი

მეგობრების უხეველი



აკაკი წერეთლის, — ყოფილ განოვის ქუჩის, — ერთ-ერთ საბამხის სახლის ეზოში ჩამდგარიყვენ რიგში დიასახლისები რალაცას მოლოდინში. დროგამოშვებით რომელიმე მათგანი გამოვიდოდა რიგიდან და გაეშურებოდა ალაყაფის კარებისკენ ამბის გასაგებათ, — მოდიოდა თუ არა ის, ვისაც ელოდებოდენ.

ერთი ასეთი დაზვერის დროს მზვერავმა მოაშურა რიგს ხმაურით:

— მოდის, მოდის, მოდის!...

რიგში მხიარული ჩოჩქოლი შეიქნა.

ცოტა ხნის შემდეგ ეზოში შემოხრიგინდა ბოსტნეულობით და ხილეულობით დატვირთული ურემი, რომელშიაც ვირი იყო შებმული.

სანამ ნოქრები გადმოალაგებდენ ბოსტნეულობა-ხილეულობას, სანამ მოაწყობდენ სასწორს და შეუღებოდენ ვაჭრობას, ვირი მოწყენილი გამომეტყველებით ათვალეირებდა მორიგეებს.

ამ დროს ეზოში შემოვიდა გლეხი კურტნიან ვირით, რომელსაც გადაკიდული ჰქონდა ხურჯინი გამოურკვეველი შიგნადებით.

მუშკოპის და გლეხის ვირები მხიარული ყრიყინით მიესალმენ ერთმანეთს:

— გა-ა-მა-ა-არ-ჯო-ბა-აა!.. მეგობარო! — შედრიალა მუშკოპის ურემში შებმულმა ვირმა წავესიელ კურტნიან ვირს.


— გა-ა-გი-ი-მა-ა-რჯოს, მეგობარო! — ღრიალითვე უბასუხა წავესიელმა ვირმა.

რამდენა ხანია არ შემხვედრიხართ არცერთი წავესიელი ვირები, — რა დაგემართათ, რათ არ ჩამოღხართ თბილისში?

— რატომ ჩამოვიდეთ, როდესაც ჩამოსატანი აღარაფერი გვაქვს? წინეთ მხოლოთ მაწონი ჩამოგვქონდა, რომლის საფასურითაც ღვინით ილეშებოდენ ჩვენი პატრონები. ესლა კი ღვინო აღარ იშოვება არსად და ამიტომ მაწონს თითონ მიირთმევენ!

— ნეტავი თქვენ, — მოსვენების დრო დაგდომიათ და კოლექტიურათ ბალახის ძოვის მეტი საქმე აღარა დაგრჩენათ!

— მითომ თქვენ, ქალაქელ ვირებს რა ჯაფა გადგიათ?



— ხულარ მკითხავ, მეგობარო! ისეთი დღე გვადგია, რომ დაბადებას ვიწყებლით!

— რა დაგემართათ, მეგობარო!

— და დაგვემართა და ცხოვრება მეტის-მეტათ მოსაწყენი შეიქნა ჩვენთვის. მართალია, წინეთაც ამ ბოსტნეულობით და ხილეულობით დატვირთულ ურემებს

ვატარებდით, მარა მუშაობა მხიარული და მხოველოვანი იყო მაშინდელ კინტოების ხელში. ხან აღმართს მუეუღებოდით, ხან დაღმართში ჩაგხრიგინდებოდით, ხან ნელა წავიდოდით, ხან ჩქარა და ხანაც ერთ ადგილს შეეჩერდებოდით ცოტახნით დასასვენებლათ. ყველა ჩვენი ნაბიჯი შემკობილი იყო ჩვენი პატრონი კინტოს ხუმრობით, მოსწრებული სიტყვებით, ბაიათების ღიღინით, რომლებს დროს ჩვენს ზერგზე შოლტის ტყლამუნს სიმწვავე უნელდებოდა! ესლა კი აი, ეს ყოფილი ვაჭრები, რომლებიც გაბრაზებული არიან იმითი, რომ მათ საკუთარი სავაჭროება გაუთქმეს და მუშკოპის ნოქრებათ გახადეს; ჩვენ ზურგზე იყრიან ჯავრს. საწყობიდან ცემა-ტყევით მოგვაქაჩიებენ ურემს საბამხის სახლის ეზოში, ან ალაყაფის კარებთან და ვდგევართ აქ მთელი საათობით. კიდევ კარგი, თუ ამინდი კარგია, მაგრამ ცუდ ამინდში კი ჩვენი სიცოცხე უპატრონო ძაღლიც არ არის!..

— ვა-ა-აა! — შეღრიალა წავესიელმა ვირმა. — ეს მართლა რა უცნაური დრო დაგდომიათ ქალაქელ ვირებს! მეერ და რატომ ხდება ეს უთავბოლობა?

— ე-ე-ე-ე! — აბა რა ვიცი, რატომ ხდება! ეს ჩვენ, ვირებს კი არა ადამიანებსაც ვერ გაუგიათ!

— ალბათ სავაჭრო დარაბების და შესაფერ სარდაფების შოვნა მეტის-მეტად ძნელი შეიქნა და ამიტომ იძულებული არიან ცისქვეშ ივაჭრონ?

— ე-ე-ე-ე! შენც ლაპარაკობ რალს! წინეთ თუ ათასობით იყო დარაბები კერძო ვაჭრების ხელში, ესლა მუშკოპმა რამდენიმე ასეული ველარ იშოვა? კერძო ვაჭრები მოისპენ, თვარა დარაბები ხომ დარჩენ!

— ალბათ ის უფრო ძვირი ჯდება და ეს იაფი და ამიტომ ამჯობინებენ ასე?

— მოდი, ვიანგარიშოთ! ამ ერთ ურემ ბოსტნეულობას და ხილეულობას უღვევართ აქ მთელი საათები მე და ეს სამი ნოქრები. (ჩვენს აქ მოსვლამდე რიგში მდგომელებზე არას ვიტყვი). ვთქვათ, ეს ნოქრები იქაც, დახურულ შენობაშიც საქირო იქნებიან. მარა მე და ჩემი ურემი ხომ თავისუფალი ვიქნებოდით ტვირთის მიტანის შემდეგ და სხვა საქონლის გადაზიდვა შეგვეძლებოდა. მოთხოვნილება კი დიდია გადამხიდველების!

— შეიძლება მომხმარებლისათვის იყოს ეს უფრო მოსახერხებელი და ამას უწყევნ ანგარიშს?

— შენც არ მომიკვდე! ვირის ლაპარაკი რომ ესმოდეთ — ვკითხავდით და ნახავდი, თუ რა პასუხს მივიღებდით მათგან! ვისთვის არის აბა სასიამოვნო ღიღინდნე იმის კითხვა ძიებაში იყოს: გაიარა თუ არა მენავთემ, მერძევემ, მებოსტნე-მეხილემ და სხვა. ის არ ურჩევნიათ, რომ გარკვევით იცოდენ, — რომელ დარაბაში, ან სარდაფში მოიპოება ყოველივე ესენი და ვანსაზღვრულ საათებში იქ შეიძლება მათი მიღება?

— მაშ რაშია საქმე?

— აბა რა ვიცი, — რაშია! ვირების ენა არ ესმით მუშკოპის მუშაკებს, რომ გავაგებოთ ეს უთავბოლობა და თითონ კი ვერ ხედებიან!..

ამ დროს გამოჩნდა წავესიელი ვირის პატრონი, რომელსაც ბინებზე ჩუმით უკვე გაეყიდა ჩამოტანილი რაც ჰქონდა, — „ჩოქში“!.. შესძახა თავის ვირს და მხიარულათ გაუღდა გზას წავესისკენ.

უნდა გენახათ, რა შურის თვალთ უცქეროდა ეზოში დარჩენილი ვირი მიმავალს!..

— ჩემო ლავრო, მიშველე რამე, გამაზღავენ საღმე.

— რა თანამდებობა გინდა, რა შეგიძლია?

— ჩემო ლავრო, ჩამომითვალე რა ადგილები გაქვს და მე შევარჩევ. ასე ზებირად, როგორ ვითხრა!

ლავრენტიმ ერთი დასტა ქალაქ-დი გადმოიღო და ხმა მალლა წამი-კითხა:

— მიწა - ტყის კავშირი ითხოვს ტყის მცველს...

— რად მინდა მაგი! ნადირი კი არ ვარ, რომ ტყეში წავიდე!

— სადმშენებლო ბიურო — ერთ ინჟინერს და ერთ ტეხნიკს აღმშენებლებს...

— არც მაგ მინდა, დალშე, ჩემო ლავრო.

— ჯანმრთელობის კომისარიატი — ექიმს პროვინციაში სამუშაოდ.

— აა! სწორედ ეგაა საჩემო საქმე... სხვა არ მინდა, ჩემო ლავრო, ხელობაც სუფთა და პაწია პრაქტიკაც ქე მაქვს. სამი თვე ვმუშაობდი ამბულატორიაში დარაჯად. ვინ მოსთელის ჩემ თვალწინ რამდენ ავადმყოფს გაუვლია. დღესვე წავალ სამუშაოდ, ყველა ავადმყოფს ვერ მოვარჩენ (დმერთი არ ვარ). მარა ზოგი თავისითაც რჩება უეჭომოდ და მე რა გამჩენი გამიწყდება, რომ ყველა მოკვდეს.

— : —
სოფელი, სადაც ვმუშაობ, მიყრუებულია. ერთი ორ კლას დამთავრებული ქალია და ისიც (ხვირს ზევით იწევს. გუშინ ერთად ვისხედით საავადმყოფოს ბაღში და ხელი მისკენ გავაცოცე თუ არა, წამოხტა და მომაძახა: როგორ არ გრცხვენია, ასთე უცბად იწყებ? — და წავიდა. (ვერ გამიგია — რა განსხვავებაა ეხლა დავიწყებ თუ უფრო გვიან!).

— : —
გუშინ ჩემთან გასასინჯათ ოთახში შემოვიდა მოკუნტული დედაკაცი და მითხრა:

— შეილო, ფერდები მტკივა, მახველებს კიდევ. სახსრები სულ მოღუნებული მაქვს. დილით რო ავღებ, ძვლებს სულ ჰახა - ჭუბი გააქვს. მკვალისა მაქვს... ბოწოვებსაც მაყრის...

— კარგი დედი, კარგი... მოკლედ, რომ ვსთქვათ, სულ ყველაფერი გტკივა, არა?

— ჰოო, შეილო, ყურსაც მაკლია. ჩემი კაცი, რომ ჩამძახის, მანამ ათჯერ არ გამიმეორებს, მანამ ვერ გავიგებ ხოლმე. ცოტა თვალსაც მაკლია, ეს ხუთი წელიწადი იქნება, რაც ნემსში ძაფს ვეღარ უყრი.

— გავიგე დედი, გავიგე. კარგი,

საქარმოვ ნავთი
სამ ნაწ ბავშვ ბუნაჩაიში



— უკაცრავად... აქ წინეთ ჩვენიმთავრობა მიხა ცხაკაია იყო და, ეხლა სად ბრძანდება თუ იციო?
— ასეთი არც ვიცი;
ნია! თავი დამანებეთ!..

— გეყოფა, აი, ეხლა მოგცემ მე შენ ფხვნილს, ცოტა მწარე იქნება დასალევედ, მაგრამ არა უშავს რა, დილა საღამოს გადასალაპავ. — და გამოუტყურე ქინაქინი.

— შენ რალა გტკივა ქალო? — შეგეკითხე შემოსულ ახალგაზრდა ქალს.

— მე? მრცხვინიან კია: მაგრამა ღნდა ვითხრა, რომა შეილი არ მყავს. ეს სამი წელიწადია ჯვარდაწერილი ვარ და არ ვიცი რა მიზეზია.

— თქვენი ქმარი ახალგაზრდაა?

— იგეთია, რომა რკინას გაჰქმეტავს კბილითა... —

— ალბათ თქვენ შთამამავლობით უშვილონი იქნებით.

— როგორ თუ შთამამავლობით?

— ისე, რომ თქვენ მამას, პაპას და მამის მამას და პაპას და სხვებს შე-

ლები არ ეყოლებოდით და არც თქვენ გეყოლებათ.

— მაშინ თუ შეილები არ ეყოლებოდით, ჩვენ საიდან გაუჩნდით?

— არა, თქვენ შეილებს და შეილიშვილებს არ ეყოლება შეილები.

— თუ ჩენ შეილები არ გეყოლება, შეილიშვილები საიდან გეყოლება? ფინაჩი ყოფილხარ და არა ექიმი! — მითხრა და წავიდა.

თანდათან ეს სოფელი ქუთაში მიჯდება, არა უშავს რა, შეიძლება კაცი გაერთოს. ორ კლას დამთავრებული მაჩიკამ, გული უკვე იბრუნა ჩემსკენ, რადგან სხვა ვასაქანი არ ჰქონდა.

სოფელში თანდათან „კაი დობტური“ სახელი მოვიხვეჩე.

— ეეეი, დიდი ნაწავლი კაცი კი ღნდა იყოს ე ჩვენი დობტური. — ამბობენ სოფლებში ჩემზე.



სასამართლო

(ბათო.მი)

— ჩემია, ბატონო მოსამართლე, და აბა, როგორ მოვიტომენ მაგან მიისაკუთროს. ექვს წელიწადს ვცხოვრობდით ერთად. — მოსამართლეები სიცილს ვერ იკავებენ; ვეჭილს გახსნილ პორთფელში ჩაუდგია ცხვირი და ხეიბინებს; მდივანი ცხვირსაბოცს იფარებს პირზე; დარბაზი მუცელზე სკდება სიცილით.

ამ საერთო მხიარულებას მხოლოდ სამი პიროვნება არ იზიარებს. ერთია საშუალო ტანის ახალგაზრდა, რომელიც სასამართლოს წინაშე დგას და „თავისი საკუთრების“ უკან დაბრუნებას თხოულობს, მეორე — თავდახრილი და ფერწასული თხელი ტანის ქალი, რომელზედაც უთითებს ყმაწვილი კაცი და ისაკუთრებს. მესამე კი — ქალის ქმარი.

— რა ჰქვიოდა შენს ცოლს? — ეკითხება მოსამართლე მომჩივანს.

— სირანუშ... სწორედ ეს არის. მე მას კარგად ვიცნობ, ექვს წელიწადს ერთად ვცხოვრობდით, შეილებიც გვეყავს. მერმე მიმატოვა და გამეჭკვა. დარბაზი ისევ სიცილში სცურავს.

— თქვენი სახელი რა არის? — ეკითხება მოსამართლე თავდახრილ ქალს.

— ანიკო!

— სტყუის, ბატონო მოსამართლე, სტყუის, სირანუშა ქვია, სირანუშა! — არ ისვენებს მომჩივანი.

— თქვენ რას იტყვიან? — ეკითხება ქალის ქმარს მოსამართლე.

— არაფერიც არ ვიცი რა ვთქვა, ოთხი წელია ცოლად მყავს. როცა ცოლად შევიერთე 17 წლის იყო, ყოველ შემთხვევაში ნაშვილოსნობის მაგას არაფერიც ვეცნობოდა; ესაა ერთი წელია რაც ეს ახალგაზრდა შემომიჩინდა — ჩემია ეს ქალიო, — და, მართალი უნდა გითხრათ, არც კი ვიცი — ჩემია თუ მაგისია! — უბასუხა მან.

— ორივეს გეყოფათ, ორივეს! — დაიძახა ვილაკამ და სიცილის ორომტრიალი ისევ დატრიალდა დარბაზში.

— რით ამტკიცებ, რომ შენი ცოლია? — შეეკითხა თავმჯდომარე მომჩივანს.

— როგორ თუ რით! იმით, რომ მე მაგასთან ექვსი წელი მიცხოვრია და ქალს მიუბრუნდა, — სირანუშ, სთქვი, რომ ჩემი ცოლი ხარ. ნუ გრცხვენია, მაგაზე უკეთესად შეგინახავ. არაფერს არ მოგაკლებ.

ქალმა ტირილი მორთო.

— რა გინდა შენ, ჩემო ძმაო, მოგცემ ორი ათას მანეთს და დამითმე, ჩემი ცოლი. — მიუბრუნდა მომჩივანი ქალის ქმარს.

უეზინეზული



— კაცო, ხომ არ გაგიუდი, ფეხით მიდიხარ ქალაქიდან გორში?
— არ გაგიგონია: „შორი გზა მოიარე, შინ მშვიდობით მიდიო“!

— ორი ათასი მანეთი მე მომეცი და შეილებიანათ დაგიტომბ, შე უბედურო! — დაიძახა ერთმა.

— მე სულ უფასოთ დაეუთომბ! — დაიძახა მეორემ.

— მე, პირიქით, ფულსაც დაუთავებ — დაიძახა მეორემ და სიცილის ტალღები მოედო დარბაზს.

ამ ამბავს მოუხდა ორი სხდომა, ორასი მოწმე, სამასი ფურცელი ქალაქი, შვიდი ვეჭილი და აუარებელი მდივნები და ბოლოს მომჩივანს უარი ეთქვა საჩივარზე, ვინაიდან ვერ დაამტკიცა, რომ „ანიკო“ ოდესმე „სირანუშა“ ყოფილიყო და მისი საკუთრება. როცა გამარჯვებული ცოლქმარი გარედ გამოვიდა, ახალგაზრდა მომჩივანი უკან აედევნა და სახლამდე მისდევდა.

— რა ბედნიერი ქალია! — ამბობდა ელპიტე ქარკერაშვილი, — ორი კაცი აკლავს თავს იმ დროს, როცა ჩემსკენ ერთიც არ იხედება.

როგორც გამოიჩინა აღნიშნულ საქმეზე კიდევ საჩივარი შეუტანია „დაზარალებულს“ და ისევ უთხოვია — მიესაჯოს მას აღნიშნული ქალი.

პ. ოგოლი.


ექიმებს

ნანეიშვილს, მამფორიას (სამტრედია) და კაკაბაძეს (დიდი ჯიხაიში)

ბოლოა ამად არ მასვენებს და მისთვის ვარ განაზრახად, რვა თუმანი რომ წაიღეთ, განა ღირდით რვა აბაზად? მართალია, მეტს ითხოვდით, მაგრამ თხოვნა შეიწყნარეთ და „სამადლოდ“ გაქი/იბუღულს თუმან ნაკლებ დაეხმარეთ. კაკაბაძევ, შენც იმათთან რომ გიონებ, მერცხვინება, — მაგრამ რადგან შენც იყავი, არ გახსენო, — გიწყინება.

თუმც, უნდა ვსთქვა, არც ხერხდება სიტყვა შენად დასაცველად: — შენც შეუღღი გლეხს ქითანი მესამევეჯერ მოსაწველად.

ოცდა ათი ჩაიჯიბე უძლებ კუჭის გასაძლომად; თან ამბობდი: აქ მაქვდენთ ან მე იქ ხალხი აიხის ბლომად“. ავადმყოფსაც რომ სწავლიდით, იკონებდით, ალბად, მწყარებს... მაგრამ თქვენ რომ ანგარიშობთ, მაუდენ გოჭებს ვინ დაბადებს? ღარიბი.



სად დიდებულსა მთასა მყინვარსა
 ორბნი, არწივნი ვერ შეხებიან;
 სად წვიმა-თოვლნი უნუღაღ ქმნილნი
 მწიხვან აროდეს არა დნებანი;
 სად უდაბურსა მას მუხღროებას
 ჯერ მუშგლენი ვერ მისწვდენია;
 სად ჯალათ მეფის მოხელეთ მიერ
 მთიელ მცხოვრებთა სისხლს უდენია, —
 იქ ორგან აებს საბუთისასა
 ყოფილი ხალხი შეპყდლებია, —
 ისინი, რომელთ ხალხთა დათურგვის
 მხრებს უმშვენიებდა ჩინ-მედლებია.

შეპყდლებით და დაუთმით
 „საიქიანთვის“ *) ეს „საქაო“,*)
 განშორებთან ვით ცოდვილ სადგურს,
 „თორემ გვიცნობენ ვინც ვართ აქაო,
 სად ძველი ცოდვა კაცს მუდამ სდევნის“.
 (ცოდვა კი ზურგზე უამრავია...
 ო, ვინ დათვალის თუ მათ რამდენი
 აქვთ ჩადენილი საქმე შავია!).

*) იგულისხმება—მთა, სოფ. ყაზბეგი.
 *) იგულისხმება—ბარი, ქალაქი.

განშორებთან „საქაო-სიფელს“
 და სოფელ ყაზბეგს შეპყდლებთან.
 მათ არ აკლიათ სიტყვა პირისა,
 ცხვარი, ბატკანი და დედლებია.
 განუდევნიათ მუშა და გლეხი,
 და ახლოშიათ ფიქრი, წადილი.
 დღე და ღამ ღვინი, ცეკვა, სიმღერა,
 მათ უქანიათ ტბილად სადილი,
 ბლომად არიან საშხედრო პირნი
 ფეხოსანი თუ კავალერია.
 მაგრამ აწი რა?! მათ თავს დაესხა
 ჩვენი მათუბუქი კავალერია“.


რინ.

სამუშაოვო მესტვირულო

იმ დღეს მივიღე წერილი
 სოფელში წასულ ძმისაგან:
 „ბევრი სიკეთე გესმენია
 წარსულში უუკოპისაგან!
 მხოლოდ მარტოდენ წარსულთით
 ამდროში ვინ-ღა ფასდება?
 კარგს იზაწს, თუ რომ მოშკოპიც
 ხაკლოვანობებს ასცდაბა!“.
 კეთილ არს ეს ძმის სურვილი
 და, ალბად, გამოადგება
 თვით მასაც, თუ გასწორების
 მუშკოპიც გზას დაადგება.
 მაინც რომ საქმე საერო
 ძალებით გამოვაკეთოთ,
 მოდით, ეს ნაკლოვნებანი
 ჩვენც აქვე, დავაკონკრეტოთ.
 დაუკარ, ჩემო ქამანჩავ,
 ამიკელ „პიტი-პუტობით“!
 ეპ, თუ მუშკოპის ქონება
 ნოქრებს შინ მიაკვთ ფუთობით,

და მიტომ კილოგრამობით,
 ჩვენთვის არ რჩება, ალარა!..
 გულა დაჩუტა სიცრუემ,
 შუბლი კი დარღმა დაღარა...
 ვიცი, ზამთარი მოგვადგა
 და გაგვიტყდება ბუხარი!..
 ვინ შელაგა მუშკოპში
 ეს ჩარჩოთა ნაყარ-ნუყარი?!
 სდგანან უსაქმოდ დახლებში:
 „თავის ამინდი ჰგონიათ“...
 ათჯერ სთხოვ, ერთხელ სამადლ
 დამპალ ხილს მოგიწონიან...
 თუ არ მიჯერო, რაცა ვთქვი
 მიიღი და ის ქვა მოხარი!
 ჯერ არ მსმენია უხეში,
 როგორც მუშკოპის ნოქარი!..
 რაც ვსთხოვე, მტკიცა უარი,
 მცნო კოსმეტიკის ხამადა;
 — ინებეთ, რამდენიც გინდათ,
 ლუბი და ტუჩის „პამადა“!..
 თქმულა მუშკოპის ნოქარზე
 ეგ სიტყვა, გადაკრულია:
 „რასაცა შესვამ, შენია,
 რაც არა, — დაკარგულია“!..
 მიტომ ვერ ნახავთ დღეს ჩვენში
 იმაზედ სამასხაროებს,
 რაც ნოქრებისგან დღენი სჭირთ
 მუშკოპის გრძელ-გრძელ თაროებს!..
 სახილვ დუქანს ბივადექ,
 თვალში შემემო ჩინგალი:
 საღის წილ, უხვად ეყარა
 დაბეჭილი და დამპალი!..
 სდგას იაპონურ ხურბის მთა,
 ვით საქონელი „გრანდის“;
 თუმც თქმულა ვირზე რომ „ხურობა,
 მან, რა ხილია, რა იცის“?!
 სდგას ნოქარი და სთვლემს დახლში
 დილიდან დაღამებამდის...
 მაცალე, შვილო ნოქარო,
 მუშკოპის წვერთა კრებამდის!..
 ონისიმე

თქმულა მუშკოპის ნოქარზე
 ეგ სიტყვა, გადაკრულია:
 „რასაცა შესვამ, შენია,
 რაც არა, — დაკარგულია“!..
 მიტომ ვერ ნახავთ დღეს ჩვენში
 იმაზედ სამასხაროებს,
 რაც ნოქრებისგან დღენი სჭირთ
 მუშკოპის გრძელ-გრძელ თაროებს!..
 სახილვ დუქანს ბივადექ,
 თვალში შემემო ჩინგალი:
 საღის წილ, უხვად ეყარა
 დაბეჭილი და დამპალი!..
 სდგას იაპონურ ხურბის მთა,
 ვით საქონელი „გრანდის“;
 თუმც თქმულა ვირზე რომ „ხურობა,
 მან, რა ხილია, რა იცის“?!
 სდგას ნოქარი და სთვლემს დახლში
 დილიდან დაღამებამდის...
 მაცალე, შვილო ნოქარო,
 მუშკოპის წვერთა კრებამდის!..
 ონისიმე



აქა აგვავი პირო სურათის გადაღება

სოფლად მობრძანდენ არტისტნი, კაცნი ქარ-
თველთა ტომისა,
მათში ერივნენ ქალებიც, ტანად სხვადასხვა ზომისა,
ბალათურია უფროსობს, აქვს ძლიერება ლომისა,
არვის ეგონოს ხუმრობა, ან ყლაპვა ცივი ღომისა.
მათ მოეწონათ სოფელი, სიმწვანე, ველი, სერები;
შეყარეს გლეხი-კაცები, ქალები, პიონერები.
შეპირდნენ: „სკოლას აგიგებთ შემკულს სხვადასხვა
ფერებით,
თან რადიოსაც დაგიდგამთ, აგავსებთ ბედნიერებით“,
გვითხრეს: „ხელფასსაც მოგართმევთ, თუ იმუშავებთ
ჩვენთანა,
ჩვენია ქალაქ თბილისი, ჩვენია მთელი ქვეყანა.
სურათის გადაღების დროს გათელეს ბალი და ყანა,
ამ უცნაური სტუმრობით შემდეგ სოფელმა იჩანა.
გლეხებს იგლებდნენ აბუჩად: რას მიჭვიანო გლე-
ხები,
ჩვენა ვართ კინო - არტისტნი, თქვენ უნდა გვბანოთ ფე-
ხები,
თოკზე ავდივართ, ჩავდივართ ვითარცა ნამღვილ ვეფ-
ხები,
ჩვენ პუდრ-პამადა გვიზიდავს და მოშრიალე ვერხვები.
ბავშვებიც დაასწეულეს ავადმყოფობით კანისა.
შემდგომ მოკურცხლეს თბილისში არ დაყოვნება ხანისა,
ამით დასრულდა ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა...
ესე მუშგლებინს მიენდო გამოძიება-ამისა.

იანო.

— ჩიტებიც კი თბილ ადგილს ეძებენ და ზამთრო-
ბით სამხრეთისაკენ მიფრინავენ! მე კი თბილ ადგილს
მომაშორეს და ქალაქიდან ხოფელში გამომგზავნეს სა-
მუშაოდ!



ტელეფონთან (ამბროლაურის რაიონი)

პა! ხოტეცია?... თუ ძმა ხარ მითხარი, რა ამბავია ხოტეცეში? კაციტაძე?... რომელი კაციტაძე, კაცო? არქიპო? რაშია საქმე?... რაო! გლენებს რომ სცემდა?... მერე, მერე?... რაო? მოხსნეს თემსაბჭოდან!... ძალიან კარგათ უჭნიათ... ა? ისევ მოახერხა დაბრუნება? რაო? წულუკიძეს დახვდა გზაში და ქალი მოსთხოვა?!... რას ამბობ, კაცო!? ქელიძის ქალი ვალახა? ძალით გააუპატიურაო!?! არ დაიქირეს? რაო? გამოიშვა თავი რაფერ, კაცო, თუ კი ქალმა იცნო! ა? ვეჭილმა უშველა! რა სთქვი? სასამართლოს თავმჯდომარე მისი კარგი ნაცნობია?! ჰოო,

ახლა კი ვიცი აპა? რაო? ყრუაშვილი მისცენ პასუხისგებაში? რას ეჩოდენ?... კაციტაძეს საქმე რატომ გამოაშვარავთ! არ ისმის კარგათ, რაო? ახლა არტელშია? საწარმოო უბანს ხელმძღვანელობს? ვინ გაუშვა ასეთი კაცი საწარმოო უბნის ხელმძღვანელად? ა? თავისმა სიმამრმა? გლენობა ემღერის? გლენებს ავინებს და უბღვერს? ტყუილი იქნება, ბიჭო, მღველთან და კულაკთან რაფა ექნება კავშირი! მართალია? რაო?... ხოტეცი! ხოტეცი! სადგურო... შემეიერთე ხოტეცს... ტფუი! სოსო.



ახალგაზრდა მხატვრები

უცხოეთში
ნახ. არჩ. ჩხეიძის, ტფილისი.



— მოწყალეობა გაიღმით, დაგვეხმარეთ უმუშევრებს, მთელი დღე უჭმელი ვართ!
— ვი უმუშევარი? მთელ დღეს მუშაობდით და არაფერს სჭამდით, ეს კილოვს ვახსენებ!

კურების გაზრდა
ნახ. გ. ორჯონიკიძის, ქარელი



— მასწავლებელს, თქვენს სკოლაში მოგარების შემდგომ, ჩემს შვილს უკრები გაეზარდა!

ნატვრა
ნახ. კობალიანის, ცაგერი.



ნებაში ჩვენი კორკორაბივისნი... ჩის, ნიკოს, ნათესავი ვიყო, ყველაზე ჩემი მეგობარად!

ნამდვილი მიწები
ნახ. ასტვაცატუროვას, ტფილისი.



— რაშია საჭმომ, რომ დაწვინებულე-ბაში არავინ არის?
— დღეს ჩვენი გავრის გვარის ანგა-წვი წინაქების გამოცვლა ხდება, და, ვინაიდან ამ გზოლოდ გავრის ბიძაშვილები მსახურობენ, ყველანი წინაქების გამოცვლადაც წავიდნენ!

ჩვენი საშახსრო
ნახ. ვ. ჩხაიძის, ლანჩხუთი.



— ალაზ მებრუნა, თუ სოკოსი ალა-ბასაც პროტეპტია სჩიროდა!
— მოსულიაში ჩემთან და უკო-ტეპტიო - უკიბოდ გამოგატანდი რა-ღენიც გინდოდა!



სწორი მიხამართი
— უკიდონ, ჩემი ცხვრები ხომ არ დაგინახავს?
— რატომ ჩვენი სოფელში ცხვრები და თხები, ყველა ჩვენს სკოლაში იჭრის თევს... ალაზად უდენიც იმ იმ-ნება.

საქართველოში

ცეკვის რეპორტი

აჭარისწყალი. კლუბის გამგემ მსოფლიო სახლი რეკორდი დაამყარა ცეკვაში: სცენაზე ცეკვა არ შეუწყვეტია მყურებელთა სახლში მისვლაში.

უხტა-სან

ორღერების განაწილება

მარანი (აბაშის რაიონი). „ეპოს“ გამგეობა დღისით გაცემულ ორღერებს ღამით აუქმებს და ისევ ანაწილებს... ნაცნობთ შორის.

ანტიკალიგიური კამპანია

იქიდანვე. ქველ ჩვეულებებთან ბრძოლის მიზნით, რომ მიცვალებულის მიმართ მოსახლეობაში უკმაყოფილება არ გამოეწვია, „ეპოს“ ფურნემ მთელი დღის პურის მარაგი გასცა ალაპისათვის და უპუროთ დატოვა მოსახლეობა. „ეპოს“ მიზანს მიადრია: გაძლომის „შემდეგ“ მომტირალენი სახლში გაიპარენ და მით პროტესტი გამოუცხადეს მიცვალებულს მათი პურის მითვისებისათვის.

ოჩოპინტი

„თავშესაფარის“ გასსნა

ოზურგეთი. „ეპოს“ გამგეობამ მობილიზაცია უყო ყველა გაწმენდილებს და მოათავსა „ეპოსში“. აღვილებზე გაგზავნილია წერილები ყოფოლ ვაჭრების „ეპოსში“ გამოგზავნის შესახებ.

ყლაპაძე

„ხელის უზულა“

ჯურჯუყეთი (გურია) სარევიზიო კომისიამ იმ დროს მოუწერო ადგილობრივ კოოპერატივის ნოქარს, როცა უკანასკნელი ფულებს ყლაპავდა. რენტგენის სხივებით გასინჯვამ, აღმოჩინა, რომ ნოქარს შტოლოდ 400 მანეთის გადაყლაპვა მოეწყო. დანარჩენი ფული აღმოაჩნდა ყელში გაჩხერილი.

აა

ღმერთის მოწვევა

გომი (სამტრედიის რაიონი) აღმასკომის თავმჯდომარემ და მდივანმა გადასწყვიტეს — მოიწვიონ საიქილოდან ღმერთი, რომელიც კანცელარიაში არსებულ ქაიოსისაგან „ეპოსის“ და დაამყარებს წესრიგს საქმის წარმოებაში. მოლაპარაკება უკვე დაწყებულია. საქმეს აბრკოლებს ხელფასზე შეუთანხმებლობა. აღმასკომმა გაამოიწერა დამატებითი თანხები სპეცღმერთის ხელფასისათვის.

მებრძოლი

ქვემოთა

არ გვაქვს მბრობა, არცა უური ავუფიროთ ვანოს უური სარაგოული

ცხრაწლედის სკოლის მანქანაზედელი ვანო ბუჩიძე მოწაფედებს სკოლს, რაც სამართლიან უკმაყოფილებას იწვევს მოწაფეთა შობილებში.

თაღა



— ვანო, ეს რა გიქნია ჩემი შეილი-სათვის, რომ ბევრს შენი ცემისაგან კისერი განზე მოღრეცია?
— მაგისი დარდი გაქვს! ხვალ მეორე მხრიდან გაეარტყამ ყბაში და თავი ისევ თავის ალაგას დაღება.



ბიჭო, ყური რა უყავი?
— სახლში დავტოვე, თორემ ჩვენნი მანქანაზედელი ვანო სკოლაში არც ერთს არ შემარჩნდა.
— ნეტავი განათლების განყოფილება ყურს აუწევდეს ჩვენს მანქანაზედელ ვანოს, როგორც თვით უწევს მოწაფედებს ყურს!

უხვარს ძველი ადათი, გაუზრინდა მანდაბი.

გურაშუხუთი, (გურია)

ლევარსი ფხაკაძემ კარგად მოითბო ხელი აღმასკომის თავმჯდომარეობის დროს. როცა კოლექტივიზაცია გამოცხადდა, მან მიჰყიდა მოჰყიდა საჭინელი და ჭონება და ისე შევიდა კოლექტივში.

გ. რა.

კოლექტივმა ჩვენს ლევარსის აუტება გულის ძეგრა. კულაკებში დაფრინა და ჩუმად როგორც ქარი, ძეგრა. მაგრამ მანც ვერ ჩაშალა, დააარსეს კოლექტივი, და ლევარსის თვის მიზანზე გადაესხა წყალი ცივი. სხვა საშველი აღარ ჰქონდა, (კაცი იყო თავმჯდომარე). კოლექტივზე ვარი ვერ სთქვა; თუმცა ლევარსი ცრემლი ცხარე...

და გაჰყიდა რაც გააჩნდა, კაცი გახდა „პროლეტარი“, და ვით გლეხი „უმიწა-წყლო“ შემოალოთ ფართოთ კარი. ღმერთსა სთხოვდა: დამიფარე, მღვდლით მოენათლე „ჩემი შეილი“.

და სანთელი ხატების წინ ინთებოდა ორი წყვილი. მაგრამ ღმერთმა ვერ უშველა... გამოება მანდატს ფრთები, და გაფრინდა... გადიარა მალალი და გრძელი მთები.

ვანია და ილია ორივ მოწყენილია.

სოფ. მკინუხეთი, სტალინისი

კოლექტივში აღმოჩნდნ უღირსი პარტიულულები: ვანო მანქანაზედელი და ილია გომართელი, რომლებიც კოლექტივის წევრებს აიძულებდნ კოლექტივიდან გასვლას.

ძირ-თბ



კულაკმა დუღუკს დაუკრა, აცეკვდა ორი ძანია. (პირველი გახლავთ—ილია, და მეორე კი—ვანია).

ზედ მოაყოლეს სიმღერა: „არ გვინდა კოლექტივიო, და გავაცუროთ ყინულზე ვითარცა მტკვარს ტივიო. შიგ შევიპაროთ. გამოვხრათ „ციხე შიგნიდან ტყდებაო“. რომ დაიშლება არტელი, ჩვენ ხომ არ დაგებრალდება. მაგრამ გაუგეს ვაებატონთ მათი მიზანი ავია. „კოვში ნაცარში ჩაეარდათ“ ველარ მიაართვეს ფლაფია.

ხეულაპია კომისიამ რაც გაჰყიდა სულ მისია

მეფერი, (სამტრედიო)

სააღმშენებლო კომისიამ ეკლესიის ეზოში მოჭრა ცაცხვები და გაყიდა. აღებულე თანხა სოფელს არაფერში მოხმარებია, რადგან კომისიამ შესანსლა.

მწრელი კოლო




„ხეულაპია“ სახელი არ გევინოთ ზოგაპარი. მის ნახვისთვის არ გვინდ სანთელი და ლამპარი. ადვილია, რომ ვახდე „ხეულაპია“ კაცადა; უნდა გქონდეს ამისათვის შენ ქამის შიო და მალა. ხეებს აქცევ ფულად და... და ფულს უქენ ყლაპია. შეგერგება, შეგერჩება როგორც ტყემლის ტყლაპია.

ნუ იღარდებ ალექსანდრე, აღბადგენენ შენ კვლავ ადრ

სოფ. სოჩხეთი, (ხრეხილის თემი)

ალექსანდრე მინდაშვილი, რომელიც თავისი შავი წარსულისათვის გამოირცხეს კოლექტივიდან, ისევ შემოძირა შიგ ძმა-ბიჭების დახმარებით.

მხახველი



— ზურგზე გვაჯექი, როდესაც შავ დროის იყო ხანაო. შენის წყალობით ბევრს გქვ ზურგის და თავის ფხანაო... ეს უთხრეს... კარიც გაულეს პანლურიც ზედ ჰკრეს თანაო. ჩვენ კოლექტივში არ გვინდა კაცუნა ამისთანაო. გავიდა ხანი, სულ ცოტა მოფრინდა ფანჯრიდანაო, და კოლექტივის საკლავად გალესილი აქვს დანაო.



— არ შეიძლება აქედან ამოხვლა!
— როგორ თუ არ შეიძლება! ბავშვანი ქალი ვარ!

დღით ცხადია, ღამით სიზმარში დაუფიქვარო და მოსაგონარო, ძმო ვასო.

მივიღე შენგან გამოგზავნილი წერილი, რომელშიაც მწერ ზესტაფონის ავკარგს.

მანდ ყველაფერი თავის რიგზე ყოფილა, ჩემო ძმო, თუ კი წითელ სასადილოში 2-3 საათის მეტი არ გიწვეს ცდა. (მაგას რა სჯობია). შენ ჩვენი იკითხე. ორ-სამ საათს ვინ დაეძებს, რომ მთელი დღე არ გვიწვედეს ლოდინი. ჯერ მოგიტანებენ ხელის შესახოც ქალაღს, შემდეგ—ბორშის, შემდეგ—დანა-ჩანგალს (უნდა ითქვას სიმაართლე, რომ დანა-ჩანგალი ეოთად მოაქვთ),—შემდეგ—პურს და ბოლოს—კოვხს. კერძიც არის და კერძიც; თუ კარგი ცურვა არ იცი, ვერაფერს ვახდები (ცურვა ხომ ყველამ არ იცის.).

ერთხელ სასადილოში ლიმონათი მოვიტხოვი.

ოფიციალტმა გახსნა ლიმონათი და შიგ ბორშიში ჩამიდო. (თურმე ვილაც „გულის ვარდს“ ეალფრსებოდა და თვალებით სხვაგან იყურებოდა).

იწერები: შალიკო ურუმამეს რა უქნეს—გოგუაძის ქალი რომ დაიბარა სამსახურში კალღშიბის მისაღებათ და შემდეგ გაუტაცებოდა მოუნდო-მალ.

რა უქნეს, მაშინ მოხსნეს სამსახურიდან. სასამართლომ ასეთი განაჩენი გამოაოტანა:

„მიიღო რა ახსამართლომ მისი სოციალური მოგოპარებობა“ (ყოფ. ვაჭრის შეილია) მოსაჯა პირობითი სასჯელი.

შემდეგ გამოაოჩნდა ვილაც „გულის დედა“ და ვაგზავნეს ლაითორის ზუშკომის მდივანთ. (ე. ი. „ბოვიშენია“ უქნეს).

გამეცინა, მწერი—წერილებს თუ ლებულომ თავის ღროზველ.

თავის ღროზვე კი არა, ერთი წლის შემდეგაც რომ მივიღო, დიდი გასაკვირი იქნება.

ტფილისში გასაგზავნ წერილებს ხშირად ისევე ოზურგეთში ვღებულობთ. მაგალითად 10 ნოემბერს ტფილისში და სხვა ადგილებში გასაგზავნი წერილები და ამანათები ზეანში ვაგვზავნათ.

ეს ჩვენი წერილი, როგორ, თარიღიდან ჩანს, სამ თებერვალს გამო-

გიგზავნია და დღეს (30 ნოემბერია) მივიღე.

წერილი თუ გამოგზავნო „დაპლოტ ნოი“ გაოგზავნე, ის არ იკარგება, რადგან აბაჯი აქვთ მისაღები.

მართლა კინალამ დამავიწყდა.

როგორც ჩანს, სანდრო თოიძის ამაზვი ძალზე გაინტერესებს. ხომ გახსოვს პირველად მონანგარიშედ იყო აბრეშუმის ქარხანაში, მოხსნეს და ცოტა ხნის შემდეგ იქვე დანიშნეს ბუზხალტრად, ორი თვის შემდეგ ისევ მოხსნეს და ერთ კვირაში მთავარ ბუზხალტრად დანიშნეს იქვე. შემდგომ პირველ კატეგორიით მოხსნეს. გავიდა ცოტა ხანი და იმ ქარხნის დირექტორად დანიშნეს. გიკვირს! ჩვენც გიკვირს, მაგრამ რა ვქნათ.


ახლა საშინაო არ მოხსნან, თორემ მისი „საკადრისი“ სამსახური, საქართველოში აღარ გვექნება.

კიდევ ბევრის რამის მოწერა მინდოდა, მაგრამ მინია წერილი არავის ჩაუვარდეს ხელში, თორემ ეს ნალხი ხერს არ დამყარის.

თუ ძმა ხარ, ვასო, ეს წერილი წაკითხვისთანავე დახიე, თორემ თუ ვესმეს ჩაუვარდა ხელში, „ტარტაროზში“ გამოაქიმავს.

მოგიკითხა ერთი ჩეთვერი არაყით დამთვრალმა აგრონომმა ყიფიანმა.

შევარდენი



მლიძველი



დგება წუთი მძიმე, უნდა აებმეურდეს!—**გლეხკომს თავის თავზე** ქული აღარ უდღეს. **სასადილო** გახსნა ისე „ჩუმი, წყნარი“, აქ არ გვევლება სხვა მის შესადარი. **ლანძღვა** გნებავს? არის. ჩხუბი? —ისიც კიდევ და გაისმის რისხვის ხმები კილით-კიდე. **მოპყრობაზე** — მგონი, სიტყვა არის მეტი! — ვზივართ ობოლივით. **ცრემლები-მონაწყვეტი**. **თავმჯდომარემ** ვალი შეასრულოს უნდა! — მოგვაშოროს ღროზვე ხალხი ხურდა-მურდა.

დაილა თვალი—ამ ქალაქის მხერით! ხან მოპყროლავს დაბლა ხან აიწვეს ზევით. აირლილივით ჰქრება, ხელმძღვანელთა ხელი და ჰაერზე რჩება ყელი მოსახვევი.

აღმასკომმა ბევრი დაპირება მოგვცა! ბოლოს „მიზეზებით“, ყველა გაგვაოცა. მაინც არ შეისმენს, რომ ვთქვამთ გასაგონად. და ამიტომ დუმილს ვარჩევთ უფრო სწორად.

ამ ამბავმა სწორობა სწორედ ამატირა—რაიადამსკომი ცვლის უფროსებს ხშირად. სახეში მაქვს წითელ მილიცია დღესა! ოცდაათჯერ თვეში იცვლის უფროსებსა. შესძრეს მთა-ბარი, სცადის ყველაფერი—ვერ იპოვეს მაინც კაცი შესაფერი. და გრძელდება კვლავაც მოხსნა-დანაშენები! — (ტარტაროზო, გვიხსნის რჩევა, შენი ხმები)...

ვაგნელი ბიკი.



საქრებულო სწავლა და ეპიგრაფი

სოფლის აგებუნი

(საგაგანო)

საბჭოთა მამულს ძნელად
„გაზის უბანში“ განაგებს.
გიორგი კვალდაკვალ მისდევს
ბიუროკრატის ანაგებს.
მუშტი და კრივი მუშებში
ამ დროში გაგვიგონია?!
მე საქციელი ძნელადის
გამიზომ-ამიწონია.
ამბობენ: დიდი კაცი ჰყავს
ძნელადეს დამცველ-მფარველად,

და უდარდელად ლილინებს,
მერანით დაჰქრის მთა-ველად.
მუნ სასადილო დიდი ხნით
სტირის და დაღვრემილია.
არ შეგარჩენენ სილოვან
რომ გადასსლე რბილია
სალამი ჩემო დომენტი,
რაშია საქმე ძამია?
ამ უპატენტო დუქანში
სოფელი შევიქამია!
„მარკა“ და ოთხი აბაზი
მითხარი, მოსაწონია?
თუ ეს ქვეყანა, ბიძია,
შენ უპატრონო, გგონია!
გლებკომო, აბა გლებკომო,
აქეთკენ შენი თვალები.
ავტო დანიშნეთ, ძამია,
თორემ დავმძიმდით ვალებით.

სოფელ ბუნარას ვერჩქა
„ცნობილი“ დოსტაქარია.
ქინაქინს შეუშხაპუნებს,
ბევრს დღე დაადგა მწარეა.
სიმონ დევიძეს „უწამლა“.
გვერდში დაარკო მახათი
ბევრია ამის მოწამე,
პეტრე, ივანე, ალათი.
შვიდი თუმანი დაუჯდა
ვერჩქას ნანესარია;
აღმასკონს ვიხოვოთ ალაგმოს
ასეთი დოსტაქარია.
ტარტაროზ, ესე გმირები
დაასილოსე, ძამია,
თორემ იმათგან გლებობა
ვართ მეტად განაწამია.
„შიხლინსკი ბომბ“.

გ მ ღ მ რ ი

გულშემატკივარს (მცხეთა, ნავთსადენი) „კინო
მოიტანეს და მის მოწყობაზე არავინ ზრუნავს, გდია სა-
წყალი და სძინავს“-ო. უკანასკნელ სიტყვეს, ალბად,
თქვენს კულტკომისიაზე ამბობთ.

დ. დ. (ფოთი). ამ საკითხის შესახებ არ შეგვიძლია
დისკუსია გავსნათ ჟურნალის ფურცელზე. მხედველო-
ბაში მიღებული გვაქვს. ოფიციალური ცნობის შემდეგ
შეიძლება უარყოფის დაბეჭდვა.

ლან დელს. ტფილისში ალბად უამრავი „თ. მ.“
ეჭნება, და როგორ მიხვდეს, თუ ვის ეკუთვნის თქვენი
„ჩვენი დროის მეშჩანკა“? ბეგრია ასეთი „თ. მ.“-ები:

- იპრანჭება, კოპწიაობს,
აქვს მაცდური თვალი,
და შეღებულ დაწვს „უმშვენებს“
ხელოვნური ხალი.
ბარძაყებსაც ვერ უფარავს
ხშირად მოკლე კაბა.

გნების ცეცხლით აათრთოლებს
ის თვით წმინდა საბახს. („წმინდანები“ ასეთ
საქმეში უფრო მგრძობიარე ხალხია, ვიდრე ჩიოლოებ-
რივი მომაკვდავნი).

- ასეთებით თავი მოაქვს
მას ზეციურ არსად.
და ნამდვილად კი არა ღირს
არც თუ ჩაღის ფასად.

კარგს იზამდით, რომ გავგვხსნათ ეს ინიციალები
(„თ. მ.“) და პირდაპირ დაგვსახელებინათ; თორემ რო-
მელმა ერთმა მიიღოს თქვენი ძღვენი?

მიპაპას (ზეხტაფონი). ამ წერილის დაწერას ის
არ გერჩივნათ გძინებოდათ ღამის თორმეტ საათის შე-
მდეგ? მე რე რა, რომ ბიუროში 12 საათამდე იყვნენ?
ყოველ შემთხვევაში უსაქმობა თქვენ უფრო გეტყობათ,
რომ ასეთ ამბავზე ძილს იტყებთ და ნაშუალამევს ასეთ
გრძელ ლექსს სწერთ.

მაფუთის უბნალს (ზეხტაფონი). ერთი გვითხა-
რი, ეს რა თქვენი (და ჩვენი) საქმეა, რომ იწერებით:

ტარტაროზო, გვინახულე, და დაგხვდები აქ მე,
და თვითონ შენ განგვისაჯე ცქრიალაძის საქმე.
თამარს ქმარი აღარ უნდა... მას ხელოს უწყობს დედა.
ჩამოდი და შენი რისხვა მოავლინე ზედა.
ამ სიტყვეში ტყუილად არ გველოდო მარტაბეღ-
ზე სადგურში.

საპელს (ფოთი) გვწერთ, რომ:
გვასალიამ გვიღავახა
ჩხუბი როცა აუტეხა,
მათ ორივე თავის გარდა
„ლამპოჩები“ სულ დატეხა.

აი, ეს (შუშების დატეხა) არის სავალალო, თორემ
მათ თავებს ვინ ჩივა! რა მოსახმარია!

მნ.—ღოს (სამტრედია, ეწერი). შესაძლებელია,
რომ ტარასი კოლექტივში ჭორებს ავცრელებს და ლა-
მობს მის დაშლას, მაგრამ:

- ინტრიგის ქსელის გამბმელი,
გამოქექილი მელია, —
კახიანია ქებული
თავადი დაშნაკელია.

არა გვეგონია, რომ ტარასი კახიანი დაშნაკელი
ყოფს, ვინაიდან ასეთივე პარტია ჩვენშიაც ბევრი იყო
ბენშევიკების, ნაც. დემოკრატების და სხვ.

ქ—პა—ძის (ოზურგეთი): ყველა ამ ამბების შე-
სახებ ჩვენ უკვე გვეონდა წერილები დაბეჭდილი (მათ-
ში ზოგი თქვენი იყო). მიუხედავად იმისა, რომ ახალი
არც თეატრის შესახებ არას, მაინც დავბეჭდავთ თქვენს
წერილიდან ამ ამონაწერს, რომ გული არ დაგაკლდეთ!

- თეატრის საქმეს არ უჩიან თავი,
ვაშალოშიძეს არცა აქვს ფიჭრი.
ფული დაცანცლა ადგილკომებს და
ყოველ კვირაში ტფილისში მიჰქრის.

აბ. გოცირიძეს. ვადასტურებთ, რომ „სხვავე-
ლი“-ს ფსევდონიმით „ტარტაროზში“ მოთავსებული
წერილი „სამება-ერთარსება“ თქვენ არ ეკუთვნის.



უბედური გუმბალები

